ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №112666

ნომერი: AR134349

თარიღი : 30.03.2012

გაცემის თარიღი : 06.04.2012

გაცნობის თარიღი : 07.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეველეს , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ჯულუხიძე პ/ნ 01010000032
- ნუცუბიძის 211 კორპ. 4 ბ. 37

ორგანიზაცია:
- რესპუბლიკა ბანკი კოდი: 204856263

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

დახლის ტიპის ღია კონსტრუქციის (დროებით) მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მეველეს #4–ში, შ.პ.ს "მრავალძალი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დახლის ტიპის ღია კონსტრუქციის (1,6x1,27x 2,2) დროებით, მიმდ. წლის 12,18, და 19 აპრილს (თქვენი #134575 ელ. განცხადების მოთხოვნის თანახმად) მოწყობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".
"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ( კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.17.12.003.005; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, ესკიზური პროექტი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, მეველეს #4–ში, შ.პ.ს "მრავალძალი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დახლის ტიპის ღია კონსტრუქციის (1,6x1,27x 2,2) დროებით, მიმდ. წლის 12,18, და 19 აპრილს (თქვენი #134575 ელ. განცხადების მოთხოვნის თანახმად) მოწყობის შესაძლებლობას.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge